



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შრომის შინაგანაწესი თანდართული სახით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარის 2013 წლის 01 ნოემბრის №155 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 07 დეკემბრიდან.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6, მე-12 კილომეტრი.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს
თავმჯდომარე



გიორგი პატარიძე